№ 91
აპრილის 27, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 91
აპრილის 27, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—15)

ჟირარდის მანუფაქტურის

საწყობში

ლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.

(100—54) **დონერ—ლეიტცი.**

წარმ. 49—11 ტელეფონი 617.

უკანასკნელი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 27 აპრილს, 1903 წელს.

ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას

ოტელლო

ტრაგ. 5 მ. ვ. შექსპირისა, თარ. თავ. ი. მაჩაბლისა.

ამ პიესისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსი მოსესიანცის სახელოსნოში და დახატულია ახალი დეკორაციები.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 3 მაისს შაბათისათვის და ხუთ მაისს ორშაფათისათვის ქ. ფოთის მმართველობის სადგურში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დაგირავებულის ძვირფასის ნივთეულობისა, მხვედრი სარგებლის შემოუტანლობის გამო.

(2—6.—1).

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წევრთა წლიური

კრება,

რომელიც დანიშნული იყო 1903 წ. აპრილის 20-ს, საკმაო წევრთა გამოუცხადებლობისა გამო, გადიდვა 11 მომავალ მაისისათვის კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრების განსახილველი საგნები იგივეა რაც უკვე გამოცხადებული იყო წინად.

ამხანაგობის გამგეობა { თავმჯდ. პ. მდივანი. / წევრი ერ. კიწმარიშვ. / გამგე ნ. წერეთელი.

(3—6.—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

წმიდა ათონის მთიდგან.

ჩვენ ქართველთა ძმანი ივერიის ახალი სავანისა წმიდის დიდებულის იოანე მახარობელისა და ღვთის-მეტყველისანი, ვსთხოვთ სრულიად საქართველოს საზოგადოებას, ღვთის მოყვარეთა და იესო ქრისტეს მცნების აღმასრულებელთა, რათა ყურად იღონ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, ვინაიდგან ქართველთა აღშენებული ჩვენი ძველი ივერიის მონასტერი ძალ-მომრეობითა და უსამართლოდ მიიღეს, და სრულიად მიითვისეს თავისის სიმდიდრითა და მამულებითა ბერძენ ბერთა, და სუფევენ მას შინა, ვითარცა ფაშა. და არა რას მისგან ჩვენ არ გვაძლევენ, და ჩვენ ვიტანჯებით აუცილებელის საჭირო წყალის უქონლობისა გამო; ვინაიდგან წყარო გამოდის სამის ვერსის მანძილზედ და ამას სჭირდება მილით მოყვანისათვის სამი ათასი მანეთი. ჩვენ-კი სრულიად არა რაი გვაქვს. ამისთვის გთხოვთ ყოველთა ღვთის-მოსავთა ქართველთ სასულიეროთა და საეროთა, პატივცემულთა ვაჭართა, და ყოველთა მოხელეთა შეგვეწიონ, რაოდენითაც შეუძლიანთ ღვთის მცნების აღსრულებისათვის.

ჩვენი ადრესი:

Турція (черезъ г. Батумъ).

На св. Аѳонскую гору, въ Русскій св. Пантелеймона Монастырь, Архимандриту отцу Андрею для передачи въ Обитель св. Іоанна Богослова старцу Іеромонаху отцу Іонѣ съ братіею.

(10—6)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. მ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეორიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი, 27 აპრილი.

იყო დრო როდესაც ნათელი ოდნავ ჰკრთოდა და ჰბჟუტავდა ჩვენში მხოლოდ ერთ მუჭა განათლებულ მოწინავე მოღვაწეთა შორის.

ეს ის დრო იყო, როდესაც ქვეყანა, ხანგრძლივის, მოუსვენარის და დამოუკიდებლის ცხოვრების შემდეგ, მიეცა ძილსა და მოსვენებას, როდესაც მართვა ქვეყნისა და ზრუნვა მისის არსებობისათვის გადაეცა ჩვენს ერთ მორწმუნე რუსეთს.

იმ დროს თითქოს გასწყდა ძაფი ძველსა და ახალს საქართველოს შორის, თითქო ჩატყდა ხიდი, გადებული მე-18 და მე-19 საუკუნეს შორის.

მხოლოდ ოდნავ ანათებდა აქა-იქ შუქი თითო-ოროლა ნიჭიერის და მადლიანის კაცის გონებისა და ჰბადავდა მცირეოდენს იმედს უკეთესის მერმისისას, განათლების შემოღებისას, ქვეყნის აღორძინებისას.

ყოველივე ახლად საზრუნავი და საკეთებელი შეიქმნა ახალ გარემოებათა შესაფერად და შეწონვით. საჭირო იყო ბეჭდვა წიგნებისა, გაჩენა ახალის მწერლობისა, ჟურნალ-გაზეთობისა, სკოლისა, მომზადება მასწავლებელთა, სახელმძღვანელოთა, მოხელეთა, სწავლულთა და სპეციალისტთა.

ყოველ ამას ხელს უშლიდა დიდად, სხვათა შორის, ბატონ-ყმობა და მრავალი სხვა გვარი მოუწყობლობა და უკან ჩამორჩენა ქვეყნისა. მცირე მოწინავე რაზმი მოღვაწეთა, რომელთაც იმ შავ-უკუღმა დროს მოახერხეს და, რის გაჭირვებით, შეიძინეს სწავლა განათლება, გაიწურთნეს გონება, გაისპეტაკეს გული და აღივსნენ საუკეთესო საქვეყნო მისწრაფებით, შეუდგა მძიმე საქმეს ბნელის გაფანტვისას, ცხოვრების უკეთესად მოწყობისას და, რაოდენადაც ძალ-ედვათ, ჰკაფეს ეკლიანი გზა, ჰფანტეს სიბნელე და გააშუქეს ბნელით მოცული ცხოვრება, აქა-იქ მაინც.

უმრავლესობას, ერს მაინც ეძინა. გლეხ-კაცობა ჯერ ახლა რაა ცოდნისა და განათლების მხრივ, მაშინ რა უნდა ყოფილიყო. ბატონ-ყმობის მძიმე უღელი, რომელსაც აღარა ამსუბუქებდა-რა, სჩაგრავდა ზნეობრივ ყმასაცა და ბატონსაც და აქრობდა ადამიანობის ნიშან-წყალს ერთშიაცა და მეორეშიაც.

აი, ასეთს ცხრა-თავიან მდევს ერის დაცემისას, ქვეყნის გათახსირებისას უნდა შეჰბმოდა მედგრად მახვილი იმათი, ვინც იგრძნო მადლიანი მოწოდება ქვეყნის გამობრუნებისა, დაცემულის ადამიანის აღდგენისა.

მცირე იყო ამ მუშაკთა რაზმი, მაგრამ ძლიერი იყო მათი მახვილი—სიტყვა მადლიანობისა და კალამი კეთილის თესლის სათესად. ამ მახვილს დრომაც ხელი შეუწყო. ბატონ-ყმობის მოსპობა აუცილებელ საქმედ შეიქმნა.

ვინ იყვნენ ეს მუშაკნი, ვინ იყვნენ ეს თავგანწირულნი „მხედარნი", ეს ყველამ კარგად ვიცით და აქ მათის სახელისა და გვარის ჩამოთვლა საჭირო არ არის.

რაც მოჰხდა მას შემდეგ, ესეც ყველამ იცის. ყველამ იცის, რომ ბატონ-ყმობა მოისპო, ადამიანი განთავისუფლდა ბორკილთაგან, შრომა თავისუფალი და დამოუკიდებელი შეიქმნა, ერის უმრავლესობამ თავისუფლად ამოისუნთქა. ნელ-ნელა მოისპო ცხოვრების წინსვლის შემაფერხებელი უმთავრესი მოუწყობლობა, ნელ-ნელა ჩაისახა და აღორძინდა ვაჭრობა და მრეწველობა, სწავლა-განათლება.

ახლა ცხოვრება ქვეყნისა ახმაურდა, ძილი და მოსვენება სიზმარივით გაჰქრა, ქვეყანამ ზღვასავით ღელვა დაიწყო; ყველა იბრძვის, ჰმოქმედობს, ერთმანეთში ირევა, თხოულობს თავის ადგილს, იცავს თავის თავს, თავის ინტერესებს.

ამასობაში ჩნდებიან ცალკე ჯგუფნი და დასნი, რომელნიც ეძებენ მომხრეებს, მოკავშირეებს, რომ საერთო ძალ-ღონით გაიტანონ ლელო ცხოვრებისათვის ბრძოლაში. თავად-აზნაურობა თითქო ცალკე იწევს, სამღვდელოება ცალკე სცდილობს გზის გაკვლევას, ვაჭარნი და მრეწველნი ცალკე იღვწვიან და იბრძვიან საშინელ ეკონომიურ ბრძოლის ზღვაში.

გლეხ-კაცობაც ფართხალობს და უნდა დააღწიოს თავი სიღარიბეს, მამულის სიმცირესა და ნაკლებობას.

სად არის ხსნა ამ განცალკევებისა და განკერძოების დროს? რა უშველის ქვეყანას, რა მიჰმართავს ყოველს მის ცალკე ძალას საერთო წარმატებისა და აღორძინებისადმი?

ჩვენის აზრით, მხოლოდ ერთად ერთს ძალას შეუძლიან დაგვიხსნას ამ განცალკევებისა და განვითებისაგან, რომელიც, თუ გაძლიერდა, საუკუნოდ დაგვღუპავს და დაგვაქცევს. ეგ სასწაულთ-მომქმედი ძალაა ერთობა, შეგნება საერთო ინტერესებისა, შეკავშირება ერთმანეთში და ზრდა გულში იმ ღვთიურის გრძნობისა, რომელსაც მამულისშვილობა ეწოდება და რომელიც გულ-წრფელად გახარებს, როცა ქვეყანა წარმატებასა და აღორძინებაშია და უსამზღვროდ გაწუხებს, როცა ერი იჩაგრება და უკანა რჩება ცხოვრებას, ის მადლიანი ალტრუისტული გრძნობა, რომელიც გიწოდებს უარჰყო საკუთარი ინტერესი მოყვასისა და მოძმისათვის და საკუთარი კეთილდღეობა შესწირო მამულის სიკეთეს.

ვიდრე ეს უმაღლესი გრძნობა მამულის-შვილობისა არ გაძლიერდება ჩვენში, ვიდრე ქართველობა არ შეიგნებს საერთო ინტერესების დაცვის საჭიროების ერთობილის ძალ-ღონით, არ უარჰყოფს წოდებრივ განცალკევებას, მანამდე ჩვენი მამულისშვილობა ცალიერ და ლიტონ სიტყვად დარჩება და ქვეყანაც შორს მანძილს ვერ გაივლის წარმატებისა და აღორძინების გზაზედ...

ტფილისი

✦ როგორც შევიტყეთ, ოთხშაბათს, 30 აპრილს, სალამოთი ანჩისხატის ტაძარში გარდაიხდება სადღესასწაულო მწუხრი ცისკარი პურის კურთხევით, ხოლო მეორე დღეს, 1 მაისს, წირვა წმ. თამარ დედოფლის სადღესასწაულოდ.

✦ როგორც შევიტყეთ, ქუთაისში იქაურს საზოგადოებას აზრადა აქვს მაისის დამდეგს გამართოს ბაზრობა და სახალხო სეირნობა „ქარ. შორის წერა-კ. გამავრც. საზ." სასარგებლოდ. ჰფიქრობენ, რომ შემდეგისათვის 1 მაისი დაიდონ დღედ სეირნობისა და ბაზრობის გამართვისა ამ „საზოგადოების" ღონისძიების გასაძლიერებლად.

✦ „წერა-კითხვის საზოგადოების" წლიური ანგარიში უკვე შედგენილია და იბეჭდება. კრება დანიშნული იქნება მაისის გასულს.

✦ 24 აპრილს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ კრება ჰქონდა. კრებამ მოისმინა ნ. ი. გ. ალიბეგოვის მოხსენება და გადა-

სწყვიტა: დაიბეჭდოს ეს მოხსენება და გაეგზავნოს საზოგადოების ყველა წევრს.

25 აპრილს ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა: მიეცეს შიოევის ასულის საფლავზედ ძეგლის ამშენებელს, ხელშეკრულობას ძალით, 1,300 მ., გადახდილ იქმნას პანაშვიდი შიოევის ასულის სულის მოსახსენებლად საფლავზედ.

✦ მკითხველებმა უკვე იცინ, რომ ამ დღეებში სასულიერო სემინარიის სარევიზიოდ ჩამოვიდა ბ-ნი ტიხომიროვი. როგორც გავიგეთ, უწმინდესის სინოდისგან ყოფილა დანიშნული სარევიზიოდ ტფილისის და ქუთაისის სასულიერო სემინარიებისა. გუშინ ბ-ნი ტიხომიროვი გაკვეთილებს დაესწრო ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

✦ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტს ფურცელაძეს ამას წინად ოლქის სასამართლოში მიუცია სააპელაციო საჩივარი მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის გარდაწყვეტილებაზედ რომლის ძალითაც ფურცელაძეს ედებოდა ის ბრალი, რომ მან თავის ნებით დაისაკუთრა ქალაქის ადგილი.

✦ ქალაქის გამგეობის უფროსი ბუხგალტერი ბ-ნი ერმიშევი და საქმის მწარმოებელი იაკიმოვი ატყობინებენ ქალაქის საყასბოების გამგეთა კომისიას, რომ გასამართლებელ საბუთების უქონლობისა გამო შეუძლებელია შემოწმება საქალაქო ხორცის დუქნების ანგარიშების წარმოებისაო.

✦ ახალ ათონის მონასტერს განუზრახავს ყოველ წლივ ხუთი ათასი მანეთი აძლიოს სტიპენდიებად შვილების სხვა-და-სხვა სასწავლებლებში აღსაზრდელად.

✦ 27 აპრილს საქართველოს ექსარხოსმა სწირა ფოთში და იქიდამ გაემართა ახალ-სენაკს. შემდეგ დაათვალიერა ხობისა, თეკლათის და მარტვილის მონასტრები. 30 აპრილს ექსარხოსი წავიდა ქუთაის, დაათვალიერა გელათის და მოწამეთის მონასტერი. ტფილისში დაბრუნდება პირველ მაის.

✦ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უფროსი დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად.

✦ ამ დღეებში ნ. ა. ხუდადოვის თავმჯდომარეობით იყო სამიკიტნო დუქნებისათვის სავალდებულო დადგენილებათა კომისიის კრება. კრებამ სხვათა შორის საჭიროდ სცნო, რომ სამიკიტნოების რიცხვი შემცირებულ იქმნას, მეტადრე იმ მხარეს, სადაც მოჭიტებული ნაწილი ღარიბი ხალხი სცხოვრობდა, სადაც უფრო ბევრი სამიკიტნოებია.

✦ 24 აპრილს, ბ-ნი ენფიაჯიანცის თავმჯდომარეობით იყო დანიშნული ქალაქის ქუჩების მომკირწყვლელ კომისიის კრება. კომისიამ გადასწყვიტა: იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე მიეცეს საჭირო ფული მოსაკირწყლავად. ამ აზრით შესდგა მცირე კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ტ. ა. ეფიანჯიანცი, ბ-ნი ყარა-მურზა, ა. ს. ბაბოვი, ა. ი. ფლორენსკი და ბ-ნი ლენჩევსკი.

✦ საქართველოს ექსარხოსი 6 მაისს, წირვის შემდეგ, გაემართება ავჭალაში, იქაურ ეკკლესიის საძირკვლის საკურთხებლად. 7 მაისს არქიელი სწირავს იოანე-ზედაზნელის მონასტერში, 8 მაისს აკურთხებს ახლად შეკეთებულ მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის ტაძარს და 9 მაისს სწირავს შიო-მღვიმის მონასტერში, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზ ალექსანდრეს თანამწირველობით, რომელიც იმ დროს ჩამოვა შიო-მღვიმის მონასტერში.

✦ დღეს შრომის-მოყვარეობის სახლის საზოგადოებას კრება ექნება. კრება მოისმენს: 1) მოკლე მოხსენებას შრომის-მოყვარეობის სახლის აგების შესახებ, 2) ანგარიშს 1902 წლისას, 3) სარევიზიო კომისიის დადგენილებას და ბოლოს მსჯელობა ექმნება გამგეობის წევრთა ამორჩევის შესახებ.

✦ ამ ბოლო ხანებში რკინის გზაზედ ბევრი უბედურება ჰხდება. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და გაუცია განკარგულება გზისა და მოძრაობის უფროსებისათვის, რომ ყოველი საშუალება იხმარონ უბედურებების თავიდამ ასაცდენად.

✦ 22 აპრილს, ტფილისიდამ წავიდნენ ბაქოში ბაქოს საკომერციო სასწავლებლის მოწაფენი.

✦ როგორც გავიგეთ, საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს ქუთაისში მიუღია წინადადება, გამოსთქვას თავისი აზრი სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილების დაარსების შესახებ. გამგეობას ბანკის დაარსება სასარგებლოდ დაუნახავს.

✦ მომავალ თავად-აზნაურთ წლიურ კრებაზედ სხვათა შორის ილაპარაკებენ გორსა და თელავში ვაჟთა გემნაზიის დაარსების შესახებ.

✦ 8 მაისს სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს კრება ექნება. კრებაზედ ხარჯთ-აღრიცხვას გასინჯავენ.

✦ მუსიკისა და დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოებას ტფილისის გუბერნატორისათვის წარუდგენია პროექტი საზოგადოების წესდებისა და სთხოვს იშუამდგომლოს მის დასამტკიცებლად.

✦ ქალაქს პირველი იანვრიდამ პირველ აპრილამდე ჰქონია შემოსავალი 494,591 მ. 97 კ.

✦ 14 აპრილს, სოფელ განძაში (ახალ-ქალაქის მაზრა) საღამოს ექვს საათზე მიწის ძვრა ყოფილა.

✦ 25 აპრილს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ რამდენსამე კერძო კაცს გაუგზავნა ოთხასი მისხალი აბრეშუმის ჭიის თესლი, ორ აბაზად მისხალი.

✦ 22 მარტიდამ, პირველ აპრილამდე, ბორჩალოს მაზრაში საქონლის ჭირით გამხდარა ავად 65 სული; ტფილისის მაზრაში გამხდარა ერთი.

✦ მაისში სოფ. ქვემო-ჭალის საზოგადოების მამასახლისის არჩევანია დანიშნული.

სენაკის სააზნაურო სკოლის გადატანა.

(სამეგრელოს თავად-აზნაურთა საყურადღებოდ)

(შემდეგი *)

ზემორე მოყვანილი ცნობანი საკმაოდ მიმაჩნია პასუხად იმისა, თუ სად უნდა იყოს ძველის სენაკის საზოგადო სკოლა, რომ თავის დანიშნულებას პირნათლად ემსახუროს და იმაზე მეტი ნაყოფი გამოიღოს, ვიდრე დღეს მოაქვს, დიაღ ჩემი პასუხი ეგ არის: სკოლა გადატანილ უნდა იქმნას ახალ-სენაკში. ადგილის ამგვარი ცვლილება ძირითადს ცვლილებას გამოიწვევს სკოლის ცხოვრებაში. ეს სკოლა იქცევა ისეთივე ეროვნულ სკოლად, როგორიც არის დღეს ბათომისა და კავკავის სკოლები. ნივთიერ საშუალებასაც-კი მოიპოვებს სკოლა იმ გზით, როგორითაც ბათომისა და კავკავის სკოლა ჰპოულობს სალსარს თავის შესანახავად.

მართლადაც, რატომ არ შეიძლება, რომ წელიწადში ერთი დღე ამ სკოლამაც იდღესასწაულოს ისე, როგორც 14 იანვარს დღესასწაულობს ბათომის სკოლა. განა, თუ-კი ვინმე ქართველობისა და მის საქმისათვის გული შესტკივა, გულცივად მოეპყრობა მთელს სამეგრელოში ერთად-ერთს ეროვნულ დაწესებულებას?! მით უმეტეს ახლა, როდესაც ათასნაირი უკუღმართობა გამეფებულა აქ „ყოფნა-არყოფნის“ საკითხის გადასაჭრელად?! მე დარწმუნებული ვარ რომ სამეგრელოში ეროვნულ სკოლის დღესასწაული ისეთივე მიმზიდველი იქნება ყველა შეგნებულ ქართველისათვის, როგორიც არის ბათომის სკოლის 14 იანვარი. დიაღ, შესაძლებელია, რომ სააზნაურო ეროვნულმა სკოლამაც მოიპოვოს ნივთიერი დახმარება საზოგადოებისაგან, ხოლო ეს შეიძლება მაშინ, როდესაც სკოლა იქნება ახალ-სენაკში და არა ძველში, იქ, სადაც გარეშე ქალაქიდან-კი არა, ახალ სენაკიდანაც ვერ გაიტყუილებ სტუმრებს, რომლებიც წინდაწინვე დარწმუნებულნი არიან, რომ სკოლაში განაცადი სიამოვნება მეეტლეთაგან ჩამწარდებათ, ან-და მთელი ღამე ცის ქვეშ მოუხდებათ დარჩენა, რადგან „არც ერთი აქაური დიდი სასტუმრო არასოდეს კარებს არ აღებს!!!“ სკოლა ხომ საღამოზე მოწვეულ ყველა სტუმარს ვერ უშოვის ღამის გასათევ ბინას! სულ სხვა იქნებოდა, რომ სკოლა ახალ-სენაკში იყოს, თორემ როგორ მოეთხოვება, თუნდ ახალ-სენაკელსაც, ძველი-სენაკის სკოლაში გამართულ სალიტერატურო საღამოზე დასასწრებლად შვიდი-რვა ვერსი მოლახლახე დანჯღრეულ ეტლით გამოიაროს, 3—4 მანეთი გზის ფული გადიხადოს და თან იმისი ეშინოდეს: „ვაი თუ საღამოს“ დასრულების შემდეგ ცის ქვეშ დავრჩე, მანამ ეტლს ვიშოვიო. კიდეც რომ თავის დროზე იშოვოს ეტლი, აბა, სასიამოვნოა ღამის ორ-სამ საათზე შინ მისასვლელად 7—8 ვერსი სახიფათო გზით მგზავრობა.

სწორედ ამ მიზეზებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თუმცა ამ უკანასკნელ წლებში სკოლა ხშირად მართავს სალიტერატურო გასართობებს, ეს „საღამოები“ გარეშე სტუმრებს მაინც ვერ იზიდავს. ხშირად გვსმენია „საღამოზე“ მოწვეულთაგან ამგვარი ბოდიში: „ვნანობთ, რომ ვერ ვისარგებლეთ სკოლის მასპინძლობით, იმ შიშით, რომ სიამოვნებას მგზავრობა ჩაგვაშხამებდაო“. კიდევ ვიმეორებ, სკოლა რომ ახალ-სენაკში გვქონდეს, იქ ამ უხერხულობას ადგილი არ ექნება.

„შენს პირს შაქარიო“—იოხუნჯებს, ვიცი მკითხველი: ახალ-სენაკში არა და ახალქალაქშიც რომ მოგვცა სკოლის გამართვის საშუალება, ისიც სასარგებლო იქნება, ხოლო მაგარი ის არის, რომ „დიდ გობ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდა“ და ჩვენ-კი ამის ღონე არ შეგვწევსო“. სრული ჭეშმარიტებაა, უღონონი ვართ და კიდევაც ამიტომ არის საჭირო ძალის დაზოგვა. ის მცირე ძალა მაინც, რაცა გვაქვს, უფრო ნაყოფიერად უნდა მოვიხმაროთ. სავალალო ის არის, რომ ჩვენს ქონებრივს ძალას, რომელსაც დღეს სკოლის შესანახავად ვხარჯავთ ძველ სენაკში, ორჯელ მეტის ნაყოფიერების გამოღება შეუძლიან ახალ-სენაკში; ამასთანავე საზოგადოებას თავისუფლად დარჩება აწინდელი მამული ძველ-სენაკი სკოლისა, რითაც გაუადვილდება განხორციელება დიდის ხნის სურვილისა სამეურნეო კურსების გამართვით. **გვექნება ორი სკოლა და ორივეს შენახვაზე თითქმის მხოლოდ ის დაგვეხარჯება, რაც დღეს ერთის სკოლის შენახვა გვიღირს.** მკითხველს ვთხოვ მოთმინება იქონიოს და პარადოქსად არ ჩამოართვას ეს უკანასკნელი სიტყვები. ვიჩქარი აქვე ციფრებით გავამართლო ჩემი მოსაზრება.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებას სკოლის ხარჯის საქმეში, წინა წლებში ამ სკოლის შენახვა 7000 მან. უჯდებოდა ბანკს, რომელიც დღემდე ამ ფულს იძლევა სკოლის შესანახავად. მაშასადამე, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ სკოლაზე 7000 მან. იხარჯება ყოველწლიურად. ახლა გავითვალისწინოთ რა დაიხარჯება 1) ახალ-სენაკში გამართულ მოსამზადებელ სკოლის შესანახავად და 2) ძველ სენაკში სამეურნეო პრაქტიკულ კურსების გასამართავად:

1) აწინდელი მოსამზადებელი სკოლა ოთხის განყოფილებისაგან შესდგება. კვირაში ოთხსავე განყოფილებაში 111 გაკვეთილია. დღეს ეს გაკვეთილები განაწილებულია ხუთ მასწავლებელთა შორის, რომელთაგანაც ერთს გამგეს ეთვლება 12 სავალდებულო გაკვეთილი. დანარჩენი გაკვეთილები განაწილებულია სხვა ოთხ მასწავლებელთა შორის და, თუ სკოლა გადატანილ იქნება ახალ-სენაკში, სკოლის ხარჯი, სხვა ხარჯის შემცირების გარდა, შემცირდება ერთის მასწავლებლის ჯამაგირითაც და სენაკში გადატანილ სკოლის „შტატი“ და „ბიუჯეტი“ იქნება შემდეგი:

1) უფროს მასწავლებელს 18 სავალდებულო გაკვეთილით, ბინით, შეშით და სანათით თვიურად 90 მანეთი, წელიწადში	1080 მ.
2) სამს მასწავლებელს 72 სავალდებულო გაკვეთილში	2880 „
3) 21 სასყიდლიანი გაკვეთილი.	630 „
4) ექიმი და წამლობა. . . .	150 „
5) სკოლის მოსამსახურე. . .	180 „
6) კანცელარია-ბიბლიოთეკა. .	100 „
7) შეშა, ნავთი და სხვა წვრიმალი ხარჯები.	200 „
სულ	5220 მ.

ახლა შევადაროთ ეს ანგარიში თუნდ 1898—99 წლებში ამ სკოლაზე მომხდარ ხარჯებს და ნათლად დავინახავთ, თუ რა დიდი განსხვავება იქნება ამ ორ რიცხვს შორის.—აღნიშნულ წლებში სკოლაზე დახარჯულა.

1) ინსპექტორს.	1200 მ.
2) ოთხს მასწავლებელს . . .	3840 „
3) ექიმს.	200 „
4) მებაღეს.	240 „
5) მეთვალყურე-გალობის მასწავლებელს	600 „
6) სკოლის მოსამსახურეს . .	180 „
7) შეშის, წამლისა, ბიბლიოთეკის და სხვ.	500 „
8) 8 სასყიდლიანი გაკვეთილი.	240 „
სულ	7,000 მ.

ამ ანგარიშს რომ ახალ-სენაკში გადატანილ სკოლის ბიუჯეტი შევადაროთ, ეკონომია რჩება 7,000—5,220=1,780 მანეთი.

თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ 300 მანეთი მაინც ყოველ წლივ შემოუვა სკოლას გარეშე წყაროებიდგან, (მაგ. სწავლის ფასი არა აზნაურთა შვილთაგან, შემოწირულება და სხვა.), მაშინ ეკონომია იქნება ორი ათას მანეთზე მეტი. ამ ფულს რომ 2,000 მანეთიც დავუმატოთ—გაიჩარხება ძველ სენაკში სამეურნეო კურსების გამართვის საქმეც.

ხოლო სანამ მე ამ მეორე საკითხს შევეხებოდე საჭიროდ მიმაჩნია მომავალ სკოლის ჩემგან აღნიშნულ ბიუჯეტს მცირედი განმარტებაც დავურთო: მკითხველი უეჭველია შენიშნავდა, რომ ჩემს ხარჯთ-აღრიცხვაში წარსულთან შედარებით თვალ-საჩინო ცვლილება არის მომხდარი: 1. სკოლის გამგის სავალდებულო გაკვეთილების წამატებით და ჯამაგირის შემცირებით. 2. მასწავლებელთა რიცხვის შემცირებით. 3. მებაღის ადგილის გაუქმებით და 4. ექიმის ჯამაგირის შემცირებით.—განვიხილოთ სათითაოდ, თუ რამდენად მოსახერხებელია და კანონიერი ამგვარ ცვლილებების მოხდენა: 1. სკოლის გამგისათვის სავალდებულოდ ვხდი 18 გაკვეთილს ნაცვლად დღევანდელ 12 გაკვეთილისა. ეს რიცხვი გაკვეთილებისა სამძიმო არასოდეს არ იქნება ოთხ განყოფილებიან

---

*) იხ. «ივერია“ № 90.

ფელეტონი

მასალათი

მამებისა და შვილების გამო.

> „საშიკოდ, სალაღობოდ,
> ამხანაგთა სართეველად.
> რუსთველი.

ჩვენმა სააღდგომო მუსაიფმა ერთი ალიაქოთი ასტეხა ქართულს... უკაცრავად!—სომხურს „ცნობის ფურცელში“ და ყალყზედ დააყენა ახლად მოვლენილნი კაცობრიობის ქერისუფალნი, შინ გამოჩეკილნი კოსმოპოლიტნი... გეხსომებათ, რომ მუსაიფში ნათქვამი იყო, ჩვენი ახალ თაობა გულაცრუებულია მამულის შვილობაზედ და ეროვნულს პესიმიზმს მისცემიაო... ვანქის უბნის შვილებს დიდად სწყენიათ ასეთი მსჯავრი და, პოეტის თქმისა არ იყვეს, გაბოროტებით სწყევლიან მამებს („ც.—ფ.“ № 2121). მაგრამ ამ წყევას თქვენი ჭირიც წაუღია, სამწუხარო უფრო სხვა რამეა: შვილები ამდგარან და გესლიანის ენით ყბად აუღიათ სამშობლო: „სახელოვანი საქართველო, დიდებული საქართველო, შეუდარებელი საქართველო“... „ქართველთა დევ-გმირობა, თავგანწირულება, ხასიათის სიდიადე, ძლიერი ნიჭი“,—ყველა ეს და ბევრი სხვა ამგვარი ქართველისათვის წმინდა სახსენებელი დაცინვის კილოთი და ირონიით დასტამბულია. აქ ახალი არაფერია, კარგა ხანია, რაც ვანქის უბნელნი იჯმნენ სამშობლოსაგან და ღაღად ჰყვეს ხმითა დიდითა—„ჩვენ არასოდეს არ გაგვიხდია ღმერთ—კერპად ეროვნული არსებობა. ჩვენთვის ძირველი საქმე ადამიანობა და არა ქართველობაო“... ეროვნული ცრუ-მორწმუნეობა „ივერიელებს“ არგუნეს წილში, ნაციონალისტებად იგინი მონათლეს, იმათში აღმოაჩინეს სუვორინი, კამაროვი, გრინგმუტი, პალმი .. „ჩვენ, თუ ვიცავთ ეროვნებას, იმიტომ, რომ ამით დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ ერთა სოლიდარობას, მივუახლოვოთ ერთი ერი მეორეს. კაცობრიობაა ჩვენი ღმერთიო“—(ც.—ფ № 2007). ასეთის „პროკლამაციის“ შემდეგ, რასაკვირველია, სრული საბუთი გვქონდა, აწინდელ შვილებისათვის გვეკადრნა ეროვნული უგულობა და აღვენიშნეთ კიდეც, რომ ჩვენი ახალთაობა სასოწარკვეთილებას მისცემია და სამშობლოსთვის ზურგი შეუქცევიაო... აქ საწყენი, იქნება რამე იყვეს, მაგრამ ტყუილი-კი—არაფერია. ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ბევრნი აწინდელნი შვილნი კაცობრიობას ეტრფიალებიან დ კოსმოპოლიტობენ, თუ არა და—მარქსისტობენ და მხოლოდ მშიერ კუჭს დასტირიან. ახლა აშკარაა, რომ შვილნი ეროვნულ იდეალს მოკლებულნი არიან, თუმცა ჩვენს მდგომარეობაში ეროვნული მისწრაფება ყველაზედ უფრო საჭიროა. აწინდელი დრო საზოგადოდ ეროვნულ ბრძოლისა და თავისმტვრევის დროა. თვით დიდნი და ძლიერნი ხალხნი იმის ცდასა და ფიქრში არიან, რომ განამტკიცონ და გაავრცელონ თვისი ვინაობა, ბატონობა და დიდება მოიპოვონ მთელ დედამიწის ზურგზედ. ჯიბრი და ცილობა გაჩაღდა. დღევანდელ ბრძოლის ველზედ ბურთიც იმისია, ვინც მედგრად და შეუპოვრად იბრძვის ეროვნულ ვინაობის დასაცველად. „თუ გვპრიანებათ, რომელიმე ერი ეკონომიურად და პოლიტიკურად დაიმონავოთ, უნდა წაშალოთ მისი ვინაობაო“, ამბობს ერთი პუბლიცისტი და მართალსაც ამბობს. აწინდელ დროს ეროვნული ვინაობა ყველაზედ მჭრელ და ბასრ-იარაღად შეიქმნა. ამ იარაღმა შეინახა შუაგულ ევროპაში სლავიანთა ტომის პატარა ერნი, რომელთაც გარეშემო პირ დაღებულნი სვავნი ახვევიან... ჩეხიამ ეროვნულ მუზარადითა და ჩაჩქანით დაიცვა თავი და ახლა იმის გადაყლაპვა შეუძლებელია, ყელზედ დაადგება და დაახრჩობს, ვინც გადაყლაპვას მოინდომებსო...

ჩვენს ვაჟბატონებს-კი სასაცილოდაც არ ჰყოფნით ეროვნული მოძღვრება,—„რა ვუყოთ, თუ ახალთაობას ერი კერპად არ მიაჩნია, არამედ იარაღად ადამიანურის ცხოვრებისათვისო“... ერი ადამიანურის ცხოვრების იარაღიაო, ე. ი. ადამიანურად-კი იცხოვრე და სულ ერთია,—ქართველი იქნები თუ ჯანაბა და დოზანაო... ძნელია ამაზედ მეტი „აბსურდი“ და უმეცრება!.. ცხოვრების იარაღად გარდასაქცევად რა საჭიროა ეროვნული ვინაობა, ქართველობა, საკმაოა მარტო „ვინგინდავინაობა“.. ერი იარაღი კი-არა, ზნეობრივი და სულიერი არსებაა, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთა კავშირია, რომელსაც თავისი სახე და ვინაობა აქვს. როგორც ყოველი ადამიანი, ისრე თვითეული ერი წარმოადგენს ცალკე პიროვნებას. როგორც ერში ერთი პეტრეა და მეორე ივანე, ისრე კაცობრიობაში ერთი ფრანგია და მეორე ინგლისელი... აღხოცეთ —თუ-კი შესაძლოა,—ეს პიროვნული და ეროვნული თვითება და მაშინ ერი მართლაც და უსულო და უგულო მანქანად გარდაიქცევა და განა ეს სანატრელი და სასურველია!?. „ჩვენ თუ ვიცავთ ეროვნებას, იმიტომ, რომ ამით დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ ერთა სოლიდარობას, მივუახლოვოთ ერთი ერი მეორესაო“... მართალს-კი ბრძანებენ! ღვთის წინაშე, არა თუ მარტო ერთი ერი მეორეს მიუახლოვეს, უფრო მეტიც ჰქმნეს. სოლიდარობის სარბიელზე „ცნობის ფურცელი“ იქამდე მიიყვანეს, რომ სომხურ გაზეთად გარდააქციეს. ახლა ვანქის უბნელ მოღვაწე ქართველს სომხისაგან ველარ გაარჩევთ და ამაზედ მეტი სოლიდარობა-ღა უნდა! ესეც კარგი ღვაწლია კაცობრიობის წინაშე... მაშ პატივი და დიდება ვანქის უბნელ მოღვაწეთა!..

სრული უმეცრებაა, როცა გაიძახიან, ეროვნებას მარტო საყოველთაო სოლიდარობის დასამყარებლად ვიცავთო. რასაკვირველია, სათნოიანი ურთიერთობა ანუ სოლიდარობა მიუცილებლად საჭიროა და ისტორიული პროგრესიც ამ გზას ადგია, მაგრამ ეროვნების დაცვა უპირველესად საჭიროა სხვაფრივ: თვითეული ისტორიული ერი თავისებური არსებაა, რომელსაც საკუთარი საუნჯე და წვლილი შეაქვს კაცობრიობის სალაროში. ყოველ კულტურულ ერს ხშირად მოეპოვება ზნეობრივი თუ გონებრივი „ობოლი-მარგალიტი“ და კაცობრიობის სალაროს სიმდიდრესაც ეს მარგალიტები შეადგენენ. აქ არის უზენაესი აზრი და საბუთი ეროვნების არსებობისა და ვისაც მართლა კაცობრიობის სიყვარული გულში უღვივის, იმან უწინარეს, ყოვლისა, ეროვნება უნდა დაიცვას, თორემ სულიერის სიმდიდრის წყარო დაშრება და გონების სალარო გაღარიბდება. ერთობა ზნეობითი ცნებაა, ხოლო აზრისა და გონების სამეფოში ცხოველ-მყოფელ დასაბამად თავისებურებაა აღიარებული. შემოქმედებითი ძალაც სწორედ ამ თავისებურებაშია. ასეთი თავისებურება შეაქვს კაცობრიობის სალაროში ეროვნებას და ამიტომაც ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი გულ-წრფელი მომხრე და მეგობარი უნდა იყვეს ეროვნებისა. ჩვენის შვილების წინამორბედი-კი ღაღადებს,—მხოლოდ სოლიდარობის დასამყარებლად ვიცავთ ეროვნებასაო... ცხადზედ ცხადია, რომ სოლიდარობის დამყარება ყოველთვის საჭირო იქმნება, თუნდაც თითოეული ერი დედამიწის ზურგიდგან აღიგავოს და იმათ ნატამალზედ დაარსდეს უსახო და უფორმო კაცობრიობა თავისის ვალაპიუკითა. არა, ერის არსებობას უფრო სხვა უმაღლესი raison d'être აქვს.

მაგრამ შვილებს ეს სოლიდარობა ანუ ერთა შორის ძმობა და ერთობა მარტო პირზედ აკერიათ და საქმით-კი სხვას სჩადიან. ჩვენ უნდა დავუახლოვოთ ერთი ერი მეორესაო... ეს ცალიერი ცრუპენტელაობა და ბაქიაობაა და სხვა არაფერი. ვინც ძმობისა და ერთობის დასამყარებლად იღვწის, იგი უწმიდურს და უკეთურს საშუალებას უნდა ერიდებოდეს. სამწუხაროდ, „ცნობის ფურცლის“ შვილი-კი სხვაფრივ იქცევა. აბა გადაიკითხეთ ამ გაზეთის № 2017 და მაშინ დაინახავთ,—რანაირად ეხმარება და ხელს უწყობს ერთა სოლიდარობას ჩვენის შვილების კალამი და სიტყვა.

მოგეხსენებათ, რომ ი. ჭავჭავაძემ დასწერა „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ და ეს წიგნი რუსულად სთარგმნა ნ. ალექსი-მესხიშვილმა, რომელმაც იგი „კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას“ უძღვნა. ამ ძღვნის გამო სომხობამ ერთი აურ-ზაური და აყალ-მაყალი მორთო და ეს იმიტომ, რომ წიგნში მოთხრობილია სომხის მეცნიერთა და პუბლიცისტთა ოინბაზობა, ყალბობა, ცრუ-მედიდურება და სხ... რუსულის ანდაზისა არ იყვეს, სიმართლე თვალსა სთხრისო. ი. ჭავჭავაძის სიმართლემაც თვალები დასთხარა სომხის შოვინისტებს და წრფელის გულით მირთმეულ ძღვენზედ ხელი აღებინა.

სოლიდარობის მოციქულმა აი, ამ სადავო საგანს მიაქცია ყურადღება და შემთხვევაც მიეცა,—პირუთვნელი განაჩენი დაედგინა, მშვიდობიანობა და თანხმობა ჩამოეგდო, მაგრამ გეცოდინებათ ვანქის უბნური ძმობა და ერთობა... უძღები შვილი ადგა და პირდაპირ ბეზღობა და ენატანიობა დაიწყო: „ჩვენს მამებს კერძოდ თუ საჯაროდ შეუწყვეტელი სჯაბაასი აქვთ, სხვა-და-სხვა დონის ძიებათა მისადაგებად, რომ სომხები აღაგმონო“... „მრისხანედ გაიძახიან,—ჩვენ სომხებთან არ შეგვიძლიან არავითარი კავშირი, არა გვაქვს არაფერი საერთო

ტფილისი

სკოლის ხელმძღვანელისთვის, მით უმეტეს, რომ იგი განთავისუფლებული იქნება მის პირდაპირ მოვალეობასთან დღეს ძალა უნებურად შეკავშირებულ სკოლის ბაღ-ბოსტან-ეზო-გარემოს მოვლა მოშენების საქმისაგან, რაც ასე თუ ისე მეტს მოცალეობას თხოულობს სკოლის გამგისათვის, ან რა ანგარიშია, რომ სამს კაცს მეოთხე მწყემსად მიუვუყენოთ!

გავიმეორებ, სავალდებულო გაკვეთილთა რიცხვის ამ გვარი ცვლილება ახალ-სენაკში გადატანილ სკოლის გამგისათვის, მის შეღავათის შემლახველი სრულებითაც არ იქნება, რადგან დღევანდელთან შედარებით, განსხვავება სულ ექვსი გაკვეთილით მოხდება; სამაგიეროდ, ის განთავისუფლებული იქნება იმ შრომისაგან, რასაც მისგან თხოულობს ახლა სკოლის „ფირმის" სამუშაონი;—თუმცა დიდით არაფრით, მაგრამ 120 მანეთით ჯამაგირიც-კი შევამცირე გამგესი, დღევანდელთან შედარებით.—არვინ იფიქროს, რომ მე მშურდეს მისთვის ეს 120 მანეთი. დარწმუნებული ვარ, 120 და 200 მ. რომ ნაკლები აიღოს გამგემ სკოლაში, რომელიც ახალ-სენაკში იქნება, მაინც მოგებული დარჩება დღევანდელთან შედარებით, ვინაიდგან 120 მანეთი მარტო მგზავრობაშიც კი დაეხარჯება ძველსა და ახალ-სენაკს შუა წლითი წლობამდე. ასეც რომ არ იყოს, 90 მანეთიც თვიურად რიგიანი სასყიდელია, მით უმეტეს, რომ გამგეს მუქთად ექნება ბინა, შეშა, ნავთი და სხვ. ეს შეღავათი რომ ფულად ვიანგარიშოთ, 500 მანეთამდე გასჭრის და 1600 მანეთს მაინცა და მაინც ვერავინ დაგვიწუნებს ოთხ განყოფილებიან სკოლის ხელმძღვანელობისათვის.

2) მასწავლებელთა რიცხვის შემცირებით მათის ჯამაგირების ხარჯი კლებულობს 330 მანეთით, ვინაიდგან მასწავლებლის ჯამაგირად 24 სავალდებულო გაკვეთილში მე ნაანგარიშები მაქვს 960 მან. ხოლო თუ 21 ზედმეტს გაკვეთილს სასყიდლიანად ვაქცევთ, მაშინ დაიხარჯება 630 მ. (960—630=330).

„ამ 21 ზედმეტს გაკვეთილს ვინ-ღა უნდა გაუძღვესო?"—იკითხავს, ალბად, მკითხველი და მეც პასუხად მოვახსენებ, რომ 14 გაკვეთილი გალობისა და საღმრთო ისტორიისა მოსახერხებელია მიეცეს გარედგან მოწვეულ მცოდნე კაცებს. ამისთანები ძველ-სენაკში არ იშოვება, თორემ ახალ სენაკში, თუ გნებავთ, „კენჭით" ასარჩევნი იქნებიან. დანარჩენი შვიდი გაკვეთილი შეუძლიანთ ისევ სკოლის მასწავლებლებმა გაინაწილონ. თითო-ოროლა გაკვეთილის ნორმაზე გადამეტება საძნელო საქმე არ არის.

3. სკოლის ბიუჯეტი კლებულობს მებაღის ადგილის გაუქმებით.

ამ მუხლს განმარტებაც არ სჭირია, თავადაც აშკარაა, რომ იქ ბაღი არ იქნება და მებაღე ვისღა დასჭირდება.

4) განახევრებულია ექიმის ჯამაგირიც, რადგან ექიმს გზის ხარჯად ჯამაგირის ნახევარზე მეტიც დაეხარჯება ძველსა და ახალ-სენაკ-შუა მიმოსვლით.

პარ—ლასი.

(დასასრული იქნება)

ჩვენებური ამბები

სოფ. კახი (ზაქათლის ოლქი). ამ რამდენისამე ხნის წინად სამოცამდე მოსახლემ რუსეთიდგან გადმოსულებმა გამოიარეს ზაქათლის ოლქზე და ნუხის მაზრაში, ვართაშენისაკენ დასახლდნენ ზოგნი, ზოგნი-კი—ჯაფარაკალში. ისარგებლეს ამით სხვა-და-სხვა ავმა და უგუნურმა კაცებმა და გაავრცელეს, უფრო ნუხის მაზრის სოფლებში, უშვერი ხმა „რომ ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს გეინუგსა, ლაიჯსა და მახლობელ სოფლებში 600—700 რუსის დედაკაცი გამოჰგზავნოს და მაჰმადიანებს ცოლებად დაურიგოსო. თითო სოფელში თითო რუსის მღვდელიც იქმნება ყაზახებითაო. მღვდელი ჯვარს დასწერს, ვინც დედაკაცებს შეირთავს და მოლაც თავის წესით ქებინს შეუსრულებსო; აზანი აღარ იქნება. აზანის ყვირილის მაგივრად, მეჩეთთან ზარი დაიკიდება და იმას დარეკამენ აზანის დროსაო. იმ დედაკაცებისაგან რაც ყმაწვილები გაჩნდება, მღვდლებმა უნდა დანათლონო. ხუთმეტ-ოც წლამდის სუყველანი უნდა დაინათლონო.

ეს ხმები მოედო მთელს ოლქს და იმოქმედა კიდეც. თითქმის ყველა მაჰმადიანმა დაიჯერა ასეთი უგუნურება. ნუხის მაზრიდგან დეპუტაცია გაჰგზავნეს პეტერბურგში, რომელიც უკვე დაბრუნდა. ამ დეპუტაციას ყორაღნელ მუსულმან-ინგილოებმაც მისცეს ხუთი თუმანი და დაიბარეს, ჩვენი საქმეც მოახსენეთ ხელმწიფეს, რომ გაქრისტიანებას გვპირებენო. დეპუტაციამ მოიტანა ამბავი: „დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს წარვუდექით და მოვახსენეთ ჩვენი გაჭირება, იმან გვიბძანა, მოკლედ მითხარით თქვენი სათხოვარიო. ჩვენც მოვახსენეთ, რომ გვარუსებენ და მძიმე ხარჯით გვაწუხებენო გვკითხა: „თქვენში რუსულ კარტუზებს იხურამენ კაცები, თუ თქვენებურ ფაფახებსა? მოვახსენეთ, ჩვენებურ ფაფახებსაო". „რუსის შინელს იცვამენ, თუ თქვენებურ ქურქ ჩოხებსაო"? ვუპასუხეთ: „ჩვენებურ ტანისამოსსაო". „მაშ, თქვენ თქვენი სახელმწიფო გქონიათ და რაღასა ჩივით? ხარჯზე თუ ჩივით, წადით თქვენი სარდალი ნახეთ (მთავარ-მართებელი) და მეც მოველაპარაკებიო". მივედით მესამე დღეს სარდალთან და იმან ჯერ ძალიან დაგვიყვირა: „რას მოდიხართ ამ სიშორეს და აწუხებთ ხელმწიფესა და მთავრობასაო? თუ რამ საქმე გქონდათ, განა აქ არ შეგეძლოთ ჩემთვის გეთქვათო? თუ გადასახლებას აპირობთ, გადასახლდით, ჩემი ხარჯით გაგზავნით, მაგრამ იცით, რომ იქ უკეთესად იცხოვრებთ"? მერე-კი დამშვიდდა და გვითხრა: „ამ თეთრ წვერით კავკასიაში მოვსულვარ ხალხის შესაწუხებლად-კი არა, არამედ ხალხის პატრონად და სამსახურად. თუ რასმე ვაკეთებ, თქვენის სარგებლობისათვის და სიკეთისათვის ვაკეთებ. მითხარით რითი ხართ შეწუხებულნი?" ჩვენ მოვახსენეთ „ხარჯი ბევრი გვადევს და „ლესნიჩები" და იმათი „აბიესჩიკები" გვაწუხებენო."—„ხარჯი", გვითხრა, „სხვებს უფრო ბევრი ერთმევა და თქვენ არაფერი გეთქმით,—ლესნიჩების საქმეს-კი გამოვიძიებო".

ახლა ლესნიჩების რევიზიაა მართლაცა. ამათმა წასვლამ მარტო ეს შედეგი მოიტანა.

ყორაღნელ მაჰმადიან ინგილოებმაც გაჰგზავნეს ტფილისს ოსმალეთის კონსულთან დეპუტაცია. იმათზედაც ასე ლაპარაკობენ: „მეფაიტონეს უთხარით, ოსმალეთის კონსულთან მიგვიყვანე და იმანაც მიგვიყვანა ერთ რაღაც „გასტინიცაში". ვიკითხეთ იქ კონსული და შეგვიყვანეს ერთ კარგად მორთულ ოთახში. იქ ერთი კაცი იყო ოსმალურ წითელი ფესით, იმაზე გვითხრეს, ეს არის კონსულიო. უთხარით, რომ „გვაქრისტიანებენ და დიდი ხარჯებიც დაგვადეს, გვინდა მთელი სოფლით ოსმალეთში გადავსახლდეთო". იმან თვრამეტი თუმანი მოგვთხოვა, საქმეს გაგიკეთებთო. მივწერამ იქ, სტამბოლში და საქმეს შევიტყობ, რუსეთის სამზღვრებიდგან სტამბოლამდინ სულთანის ხარჯით წაგიყვანენო". ჩვენ ვუთხარით: მაშ, მოვიფიქრებთ და პასუხსაც მოგცემთ და ფულსაც მოგიტანთო".

„გამოვედით და აღარ მივსულვართ. ვინ იცის, მატყუარა ვინმე იყვეს, ფულები შეჭამოს და საქმე-კი არ გაგვირიგოს" უთქვამთ გაგზავნილ ყორაღნელებს და წამოსულან შინ.

სხვა სოფლებიდგანაც ბევრი თავის ნაცნობი უნახავთ ყორაღნელებს იმ კონსულთან, ფულებს ბევრს აძლევდნენო. ახლა მაჰმადიანები უცდიან, ოსმალეთის კონსული მოვა აქ და სოფელ-სოფელ დაივლის გამოსაკითხავადო.

ბევრმა ხვნა-თესვას თავი დაანება და თუ აქ დარჩნენ, შიმშილით შეწუხდებიან და ისევ ქურდობას დაიწყებენ. ბევრს-კი ენანება თავის ნაამაგდარ მამულის მიტოვება და, არა მგონია, გადასახლდნენ. ამისთანეები ისევ ხვნა თესვას მისდევენ.

რომ ბევრი გადასახლდება, ამას ეჭვი არ უნდა და აი, ახლა უნდა მეცადინეობა, ვისთანაც ჯერ არს, რომ იმათ ადგილზე გაჭირვებული უმამულო ქართველები გადმოასახლონ რაჭიდგან, დუშეთის მაზრიდგან. აქაურ ქრისტიანებს ხომ გაამხნევებენ, თვითონაც ამ სამოთხესავით ნაყოფიერ ქვეყანაში დოვლათით აივსებიან და საქართველოსაც არ დაეკარგებიან.

წამალა წყაროელი.

რუსეთი

კონსულ შჩერბინას მკვლელს, ალბანელ იბრაჰიმს ოსმალოთა სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ხელმწიფე იმპერატორმა სურვილი გამოაცხადა, რომ დამნაშავეს სიცოცხლე აჩუქონ. ხვანთქარმა აცნობა რუსეთის ელჩს, რომ იგი ემორჩილება ხელმწიფე იმპერატორის კეთილ სურვილს. დამნაშავეს სიკვდილით არ დასჯიან, მხოლოდ სამუდამოდ მადნის სამუშაოში გააგზავნიან.

— 13 აპრილს ქ. ჩერნიგოვში დილის 9 საათზე დააკავეს ქ. ჰომელის მოქალაქე მენდელ ხალფინი, რომელსაც ქურდობას სწამებდნენ და წაიყვანეს პოლიციაში ჩვენების ჩამოსართმევად. ხალფინი არ გამოტყდა. იგი შემდეგ პოლიცეიმეისტრის გირშფელდტის სახლში წაიყვანეს. პოლიცეიმეისტერმა პოლიციელთა თანადასწრებით დაუწყო ჩვენების ჩამორთმევა და, ახლოს რომ მივიდა მასთან, უეცრად ხალფინმა დანა გამოიღო ჯიბიდან და ეძგერა პოლიცეიმეისტერს, მაგრამ პოლიციელებმა დროზე შეაჩერეს იგი და გირშფელდტი გადაარჩინეს.

— გაზეთ „რუსკ. ვედ."-ის სიტყვით, პეტერბურგში გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის თაოსნობით არსდება ვეგეტარიანთა (საკვებად მხოლოდ მცენარეულობისა და წველა დღვების ნაწარმოების მხმარებელთა) კლუბი, რომელსაც საგნად აქვს გავრცელება ვეგეტარიანთა მოძღვრებისა წიგნაკების გამოცემით, სახალხო ლექციების და საბაასოს გამართვითაო.

— „პეტერ. ვედ."-ს კიევიდან აუწყებენ: „13 აპრილს აქ ხმა გავრცელდა, ებრაელებზე თავდასხმას აპირობენო. ამ ხმამ მღელვარება გამოიწვია ქალაქში, რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა. 16 აპრილს ბევრმა ებრაელებმა მიატოვა ქალაქი თავთავიანთი ოჯახებით. ვაჭრებმა მაღაზიებიდან საქონელი გაიტანეს. განათლებულმა ებრაელთა ნაწილმაც მიჰბაძა მუშებს და მოვაჭრეთ და ქალაქი მიატოვა. ქალაქში ყველგან დარაჯებია დაყენებული. გამვლელ-გამომვლელთ სახეზედ რაღაც აღელვება ეტყობათ.

— ამავე გაზეთს ასხაბადიდგან აუწყებენ: შვიდი დღეა რაც მეშედში ბაზარი დახურულია. გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც ხალხი ასე აღელვა, არაფერს აკეთებს ხალხის დასამშვიდებლად. მისი მოწინააღმდეგე დასიც თეირანიდგან განკარგულებას მოელის. მცხოვრებლები შიმშილს ითმენენ. ფინანსთა მინისტრის თანხმობით ბანკის განყოფილების მოურავმა სობანსკიმ დამშეულებს დაურიგა გამომცხვარი პური. საცოდავი სანახავია ეს უბედური ხალხი. ჯერ სასტიკმა ზამთარმა სრულიად დააბეჩავა იგი და შიმშილმა ხომ სულ მიწასთან გაასწორა.

— ქ. ტულაში ადგილობრივ ბანკის განყოფილებაში შემდეგი შემთხვევა მოხდა. ბანკში შესულა პურით მოვაჭრე დ. შჩელინი თავის ამხანაგით, ულსონით, და ბანკის მმართველთან, მ. პ. ვოლკოვთან, ლაპარაკი მოსვლია. ვოლკოვმა უბძანა მსახურს, გაეყვანა შჩელინი ბანკიდან. შჩელინი არ დანებდა მსახურს და ამ დროს ვოლკოვმა ოთხჯერ დაჰკრა მას დანა. ვოლკოვმა დასჭრა აგრეთვე ვილაც ბ. ფინგერი, რომელიც ოთახში შემოვარდა შჩელინისთვის მისაშველებლად.

უცხოეთი

საფრანგეთი. აპრილის 16-ს, შუაღამე გადასული იყო, როდესაც კარტეზიანთა ბერების გრან-შარტრეზიდგან განდევნას შეუდგნენ. ყველა გზები საღამოთივე შეჰკრეს ჟანდარმებმა და პოლიციელებმა, მაგრამ 1,500 კაცამდე მაინც წინდაწინვე ასულიყო გორაზე და მონასტრის მახლობლად დაებანაკნა. ნაშუაღამევის პირველი საათი იქნებოდა, რომ ერთი ბატალიონი საპიორთა და ერთი რაზმი ცხენოსანთა მონასტრისაკენ გაემართა. ხალხში გაისმა ხმაურობა: «გაუმარჯოს კარტეზიანთა ბერებს!.... გაუმარჯოს მხედრობასაო"! ოფიცრებმა, რომელნიც ჟანდარმებს უფროსობდნენ, მიჰმართეს ერთს ჯგუფს, ასე 200 კაცამდე იქნებოდა, გზა მოგვეცითო; ამის პასუხად იგრიალა ბრბომ და დაერია ჟანდარმებსა და ჯარის კაცებს კეტებით. ამგვარივე ხელჩართული ჩხუბი გაიმართა მონასტრის სხვა მხარესაც. პროკურორი რომი და გამომძიებელი სენტისი ითხოვდნენ,—მონასტრამდე გაგვატარეთო, მაგრამ გაალმასებული ბრბო მუქარით აძლევდა პასუხს. ბერებმა გაცხარებული ზარის რეკა ასტეხეს. დილის 5 საათზე საპიორებს უბრძანეს,—ძალ-დაძალ შეამტვრიეთ ალაყაფის კარებიო; ათის წამის განმავლობაში კარები გასტეხეს და მონასტრის გალავანში შევიდნენ პროკურორი, და გამომძიებელი, ჟანდარმის კაპიტანი, მომრიგებელი მოსამართლე და ჯარის ერთი რაზმი.

ბერები მუხლ-მოყრილნი იყვნენ ეკლესიაში და ლოცულობდნენ. რადგან ეკლესიიდგან ნება-ყოფლობით გამოსვლაზე უარი სთქვეს, მიესიენ ჟანდარმები და ძალით გამოიყვანეს. როდესაც-კი ხალხმა თვალი მოჰკრა ამ სანახაობას, ერთხანად სიჩუმე ჩამოვარდა, კრინტი არავინ დასძრა; მაგრამ ამას მოჰყვა საშინელი ყვირილი და მრისხანება. ბრბომ მაინც ვერ გაბედა ჟანდარმებთან შეტაკება და ბერები (თითო ორ ჟანდარმს ეჭირა) სოფელ სენ-ლორან-დიუ პონისკენ წაიყვანეს, საიდგანაც ახლო მომავალში პინეროლს გაისტუმრებენ.

ოფიცრებმა კოლას დე-ფრანმა და დე-მარეშალმა, აგრეთვე ცხენოსან პოლკის უფროსმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბერების მონასტრიდგან განდევნაში, თხოვნა შეიტანეს,—სამსახურიდგან დაგვითხოვეთო.

გაზ. „Matin"-ის კორესპონდენტ მუტონს გრან-შარტრეზში მიესია გამძვინვარებული ბრბო და სრულიად დაუღეწა ეტლი. თვით მუტონს კბილები ჩაამტვრიეს და ზურგშიაც დასჭრეს ფოლადით. როგორც იყო, ძლივს დაიხსნეს ჟანდარმებმა და გრენობლის სამკურნალოში გაჰგზავნეს. ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს. ბრალი ედება ერთს ხუცესს, რომელსაც, ვითომ, მიუმართავს ბრბოსათვის და უთქვამს: „აი, ესაა განდგომილიო"!

ოსმალეთი. ესკიუბში უკვე ირჩევა საქმე ალბანელ მემწვანილე ჰუსეინისა, რომელსაც კონსულ შჩერბინას მკვლელ იბრაჰიმის წაქეზება ჰბრალდება. აა, რას იუწყება გაზ. „N. Fr. Pr."-ი ამ საქმის შესახებ:

საქმე ირჩევა სისხლის სასამართლოს დარბაზში

და დრო არის გავათავოთ საქმე, დროზედ შევსწყვიტოთ ურთიერთობაო"... „თხზავენ გაცხარებულად და ხშირ-ხშირად პატრიოტულ წერილებს აუწყებენ ზღვიდგან ზღვამდე მთელ საქართველოს, რომ სომხები შეჭმას გვიპირობენ და ჩვენ გვინდა მათი განდევნაო"... თქვენის ბედნიერის თვალით ჰხედავთ, რომ ეს და სხვა ამგვარი ჯაშუშური სისინი ისრე შორს არის სოლიდარობაზედ, როგორც ვანქის უბანი ჰოლანდიის იმ ქალაქზედ, სადაც საერთაშორისო კონფერენცია მოხდა, ის კონფერენცია, რომელსაც ხალხთა შორის სოლიდარობა უნდა დაემყარებინა. თუ მართალი გინდათ, სწორედ ასეთი კალამი და სიტყვა ჰბადავს მეზობელთა შორის მძულვარებას და „ცნობის ფურცლის" უბადრუკი შვილი-კი მამებს უკიჟინებს,—თქვენს „მამულიშვილობას ველური ელფერი ადევსო"...

პატივცემულმა ნ. ალექსი-მესხიშვილმა კარგად ინება, რომ ი. ჭავჭავაძის დიად შესანიშნავი და საყურადღებო წიგნი სთარგმნა რუსულად და ჩვენის საზოგადოების მადლობაც სამართლიანად დაიმსახურა ასეთის შრომით. მარტო „ცნობის ფურცლის" შვილს მხცოვანის და ღირსეულის მამის ეროვნული მადლი მატლად მოეჩვენა. შვილმა მწარედ გაჰკიცხა მამა, „სომხებს გულზედ ქვა მოახვედრა, მათ აწყენინა, გაამწარა და მით ქართველების გული გაახარაო"... „დრო არის, უკან წადგებულ იმას ნ. მესხიევის მტრული შეწირულებაო"...

ვსთქვათ, პატივცემულმა მთარგმნელმა დიდი ცოდვა ჩაიდინა, როცა, სომხების მაგივრად, ქართველებს გულზედ ქვა არ მოახვედრა და არ გაამწარა, მაგრამ რა საკადრისია სოლიდარობის ქურუმისთვის კაცის სულსა და გულში ხელების ფათური! „მტრული შეწირულებაო"... და ვაჟბატონს-კი ავიწყდება, რომ სწორედ ასეთი ლიტერატურული ენატანტალობა ჰქმნის და ზრდის მტრობასა. ვისაც მშვიდობინობის მწვანე შტო მოაქვს და საურთიერთო სათნოებას ლაღადებს, იგი „ცნობის ფურცლის" კალამით არა სწერს და მისი სიტყვით არ ლაპარაკობს, ვინაიდგან ეგეთი კალამი და სიტყვა უფრო ამწვავებს ეროვნულ განხეთქილებას.

ქართველ მამულიშვილების დევნა და კილვა მით უფრო არ ეპატიება „ცნობის ფურცლის" შვილს, რომ იგი თითონვე ამბობს „ისე არსად სადავო არ არის დღეს, რა არის მართალი და რა არა, როგორც ეროვნულ კითხვებში. რაც ჩვენთვის დღესავით ნათელია, შეიძლება ის სომხისათვის საეჭვოა და დიდის ბნელით არის მოცული. სადაც ერთის ერის წევრი ბევრს ჰხედავს, იქ მეორე ერის წევრი ძლიერ ცოტას ჰხედავსო". (№ 2107). დალოცვილნო, თუ ნამდვილად ეგრეა, მაშ მარტო ჩვენ რად მოგვდგომიხართ და ყველაფერში ქართველ მამულიშვილებს ამტყუნებთ. განა არ შეიძლება, რაც ჩვენთვის დღესავით ნათელია, ის სომხისთვის ბნელით მოცული იყვეს!..

ყველა ეს კარგი, მაგრამ ჩვენ ისევ ახალთაობის პესიმიზმს უნდა დავუბრუნდეთ. არა, ეგ პესიმიზმი ტყული ამბავია, სასოწარკვეთილება იქაა, სადაც აპატიით და უძრაობით არის ყველაფერი მოცული, ხოლო ჩვენი ახალთაობა მოძრაობს, ცოცხლობს, აფრიალებს უკეთესობის დროშასაო... თქვენს პირს შაქარი, მაგრამ ეს დროშა მაინც ეროვნული ბაირაღი არაა და სამშობლოს არას არგია. უკეთესობის დროშას აფრიალებსო... მაგრამ ამ დროშაზედ ქვემოდ მარქსიზმი აწერია და ზემოდ კოსმოპოლიტიზმი, ქართველობა-კი ათვალწუნებულია. ვითომ რა თანხაა ასეთი დროშა სამშობლოსთვის?! უბედურებაც იმაშია, რომ იმედ მიხდილ ახალთაობას ეროვნული გზა და კვალი დაკარგული აქვს და სამშობლოსი აღარა სწამს-რა. ლობე-ყორესაც შვილები ამიტომ ედებიან. ახალთაობა ეროვნულ ძალითა და სულით რომ ცოცხლობდეს და მოძრაობდეს, მისი მესვეური ამას როდი-ღა იტყოდა: „ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი მამული, იმას არ შეუძლია არ სძაგდეს დღეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ეს სიძულვილი იმდენად ქვეყნისა და ერისადმი სიძულვილი-კი არ არის (ცოტად ხომ მაინც არის), რამდენად მისი დღევანდელი მდგომარეობისადმიო" („ც. ფ № 2121) დიაღ, ამას ბრძანებს შვილების ბელადი და ვერც-კი გრძნობს, რომ თითონვე „როზგავს" თავისს თავს. ახალთაობის პესიმიზმისა და უიმედობის მიზეზიც სწორედ დღევანდელს ქვეყნისა და აწინდელ მისის მდგომარეობის სიძულვილშია და ეს იმიტომ, რომ ახალ თაობას ეროვნული credo აღარ აბადია, იგი ეროვნულად გაკოტრებულია. „პოეტმა, რომლის პოეზია მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია, თქვა: ფურთხის ღირსი ხარ, საქართველოო" (ibid) სწორედ ეგრე სთქვა პოეტმა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ იგი პოეტი გულზედ ცეცხლ მოკიდებული წინასწარმეტყველია ეროვნებისა და საერთო არა აქვს-რა ლიტერატურულ ჰეროსტრატებთან... კინაღამ არ წამომცდა,—ლიტერატურულ ბაღლინჯოებთან!.. ალალბედზედ და პოეტურის სულისკვეთების დროს წამოსროლილი ფრაზა რა საბუთად მოსაყვანია? ყველამ უწყის რომ ჩვენი მამა—პოეტი ეროვნულ სასოებით აღფრთოვანებულია და მხოლოდ სამშობლოს ბრწყინვალე მერმისისთვის ილვწვის. იმას აწმყო როდი აფრთხობს და გულს როდი უტეხს, რადგანაც ღრმად სწამს სამშობლოს სულიერი და ზნეობრივი ძალა. მაგრამ ყოველივე ეს შვილებსაც სწამთ?—არა და არა! და კიდეც ამიტომ ქვემოდ მარქსიზმს ებღაუჭებიან და ზემოდ კაცობრიობას!..

დიაღ, მამები მოძრაობენ და ცოცხლობენ ეროვნულ იდეალით. მაგრამ შვილებს ეს იდეალი სასაცილოდაც არ ჰყოფნით,—ვიწრო ეგოისტურიაო... ეს კიდევ არაფერი: მამების მამულის შვილობა ცარიელი რახა-რუხია მაღალ სიტყვებისაო. „მამულიშვილი იყო, ვინც რამდენიმე მაღალ-მაღალის სიტყვებით მოკაზმულ-მორთულს ლოცვას წარმოსთქვამდა სამშობლოს კერპის წინაშე. საზოგადო მოღვაწის სახელს დაიმსახურებდა, თუ ვინმე (ცოტა შექეიფებული) წარმოსთქვამდა სადილზედ: მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, გაუმარჯოს საქართველოსო". ვისაც მართლა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შეუსწავლია, იმას ეცოდინება,—თუ რამოდენი ძალა და ღონე მოახმარეს მამებმა ეროვნულ აღორძინებას. ჩვენში ყველაფერი აფერხებდა და აბრკოლებდა ამ აღორძინებას. მთელი ერი ძილს მისცემოდა და ამიტომაც პოეტს გულზედ სევდა აწვებოდა და მწარედ აკვნესებდა.

„ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება.,

მაგრამ მამები არაფერს შეუშინდნენ, აწინდელ შვილებისავით, იმ დროინდელი ქვეყანა არ შეიძაგეს, არ შეიძულეს და ისევ სამშობლოს მიჰმართეს. დაიწყო და გაჩაღდა ეროვნული მოძრაობა. აწინდელ მამების მეოხებით ქვეყანა ძილისაგან მალე გამოერკვია და გამოფხიზლდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მაშინდელ პატარა გუნდის ეროვნულ ოროველას ახლა ყველგან, მთად და ბარად, ბანს აძლევენ და, როცა შემთხვევაა ხოლმე, „სამშობლო კერპის წინაშე ლოცულობენ".. და განა ეს ეროვნული სიფხიზლე და სიმღერა ყბად ასაღები და წყალ წასაღებია?—მხოლოდ გონებით ბრმა და სულით ღატაკი თუ იტყვის, ვითომ აწინდელი ეროვნული ღაღადისი— „სიბრმავე და სიყალბეა, თავის მოტყუილებაა, რომელსაც მხოლოდ გახრწნა შეაქვს საზოგადოებაშიო"... („ც. ფ. № 2121) პირიქით, ეს საერთო ეროვნული ფერხული თავდებია საუკეთესო მერმისისა და ყველა ჭეშმარიტი ქართველი ამ ფერხულში უნდა ჩაებას და ჯერ ხმითა და მერე ქმნითა სამშობლოს აღორძინებას დაეხმაროს.

მაგრამ შვილების თქმით, ახლანდელი ეროვნული ღაღადისი მარტო უაზრო და უშინაარსო ფრაზეოლოგიაა. ღვთის წინაშე, ამაზედ მეტი სამართლიანი მსჯავრი იმათ არც მოეთხოვებათ. შვილებმა სამშობლოსი თითქმის არა იციან-რა: არც წარსული და არც აწმყო, არც ავი და არც კარგი. მაშ რა გზით და საღსრით ძალუძთ მამების განსჯა და „ქმნა მართლისა სამართლისა"?!.. აკი ამიტომაც ბორძიკობენ და ხშირად მალაყებს გადადიან. ზოგიერთი ჩვენი მამები მომაგონებენ იბსენის იმ სულიერად ბრმა გმირს, რომელსაც გარშემო ყველაფერი ამწვანებულ-აყვავებულად ეჩვენებოდაო... თუ აქ მართლა უმეცრება და უვიცობა არ მეტყველებს, აბა დაასახელონ ის მამები, რომელთაც ყველაფერი ამწვანებულ-აყვავებულად ეჩვენებათ?—მაშხალით რომ ეძებოთ, მაშინაც-კი ვერც ერთს ასეთს მამას ვერ იპოვით. მაგრამ უმეცრებას უფრო მეტი რამე შესძლებია—„ჩვენს მამებს წარსული—უდიადეს წარსულად მიაჩნდათ მთელის კაცობრიობის ისტორიაშიო"... „უმაღლეს წოდებას სთვლიდნენ განვითარების იარაღადაო"... „თხოულობდნენ უფლებას, რომელსაც ართმევდნენ ყველასაო". „საზოგადო სამსახურს ხედავდნენ იქ, სადაც კერძო გამორჩენა იყოო" და სხვა ამ გვარი ბალღური „აბდა-უბდა-გადასკუპდა"... ტყუილად არა სთქვა ბერნემ,—ქვეყანაზედ ისრე თამამი არაფერია, როგორც უმეცრებაო. ღმერთმანი, ამ უმეცრებას ახლავე უნდა ეშველოს რამე, თორემ მალე იგი თავხედობად და სიბრიყვედ გარდაიქცევა და მაშინ გვიანღა იქნება...

Plebs.

საზოგადოების თანდასწრებით; სხვათა შორის დაესწრნენ უცხოეთის კონსულები და რამდენიმე კორესპონდენტი ევროპის გაზეთებისა. რუსეთის კონსული ოფიციალურადაა მიწვეული.

პირველ ჩვენების ჩამორთმევის დროს შჩერბინას მკვლელს, ალბანელ იბრაჰიმს, როცა ჰკითხეს,—რა იცოდი რუსეთის კონსულის შესახებაო,—ეთქვა,—ცნობები კონსულის შესახებ მემწვანილე ჰუსეინის დუქანში შევიტყე მკვლელობის ჩადენის დღესაო. ბაზარში იმ დღეს დიდი და პატარა წინა დღეს ალბანელთ უკუ-ქცევის ამბავს ლაპარაკობდა და ყველანი იმას ამბობდნენ,—რუსეთის კონსული იყო ამის მიზეზიო.

მაშინ იბრაჰიმს პირველად გაუგონია კონსულის ამბავი ჰუსეინის დუქანში და უკითხავს,—როგორი შეხედულობისაო. აწერილობა, რომელიც მიუციათ ჰუსეინსა და სხვა დამსწრეებს, შეეხება მხოლოდ კონსულის ქუდსა, ყაზახს, რომელიც მუდამ თან ახლდა შჩერბინასა, და მთლად მის ამალას.

ერთის საათის შემდეგ იბრაჰიმმა უკვე განახორციელა თავისი წადილი; თურმე, რამდენისამე წამით ადრე, კინაღამ შეცდომით რკინის გზის მოხელეს ესროლა თოფი, რადგან ქუდით მიამგვანა კონსულს.

მემწვანილე ჰუსეინი ისეთს პასუხს იძლეოდა, რომ უნდოდა სრულიად აეშორებინა თავიდგან ყოველი ბრალდება იბრაჰიმის წაქეზებაში. მაშინ შემოიყვანეს იბრაჰიმი და დაუპირდაპირეს ჰუსეინს. იბრაჰიმს სნეულის სახე აქვს, ხელები შეხვეული აქვს, მაგრამ პასუხს თამამად იძლევა. ხანდახან თვალები აენთება ხოლმე, მაგრამ უფრო ზიზღით და არა შიშისაგან მღელვარების გამო.

იბრაჰიმმა გაიმეორა დუქანში ნალაპარაკევი და გაიხსენა აგრეთვე, რომ მემწვანილე ჰუსეინმა მას მწვანილი და ცოტაოდენი ფულიც გარდასცა, რაიცა იბრაჰიმმა, ვითომ მოსყიდვად და წაქეზებად არ ჩასთვალა.

იბრაჰიმის გარდა მოწმედ გამოცხადდა კიდევ ორი ალბანელი, მაგრამ მათთვის არარა უკითხავთ. როცა იბრაჰიმს ჩამოართვა ჩვენება, თავმჯდომარემ მიჰმართა რუსეთის კონსულს,—თანახმა ხართ, რომ ხუთის დღით გადავდოთ საქმე, რათა სხვა მოწმეების მოწვევაც მოვასწროთო. შემდეგ ამისა კრება შესწყდა და აპრილის 17-სათვის გადაიდო.

— სოფიიდგან ატყობინებენ დეპეშით გაზეთ „Fr. Z.“-ს,—სოლუნში მომხდარი ნაღმის აფეთქების შემთხვევები იმის დამამტკიცებელია, რომ სისტემატიური სარევოლიუციო გეგმა არსებობს. მოთავეხი სცდილობენ, ჯერ-ჯერობათ შეახერონ საერთო აჯანყება, რადგან ჰშიშობენ—საჭირო მასალა შემოგველევაო.

სოფიიდგან მოსულ ცნობებით, საზოგადო აჯანყება ერთის, ან ორის თვის შემდეგ უნდა მოხდეს, ამ ჟამად მაკედონიის 18 ოლქში თითო წინამძღოლს ორი, ან სამი რაზმი მაინცა ჰყავს; ცხადია, მათ შორის მხოლოდ ზოგიერთებმა დაიწყეს მოქმედებაო.

ინგლისი. სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ლორდ სტენლიმ განაცხადა დეპუტატ ჰობჰაუზის საპასუხოდ,—სომალიელებში სამხედრო მოქმედებას გასულ საფინანსო წლის დამლევამდე 250,000 გირვანქა სტერლინგი მოუნდა და წელსაც ამდენივეა გადადებულიო.

— ინდოეთის მეფის მოადგილე ლორდ კერზონი სამსახურს თავს ანებებს და ინგლისს ბრუნდება; მისს ადგილზედ ასახელებენ ორ კანდიდატს: ეხლანდელ სამხედრო მინისტრს ბროდრიკსა და განადის გუბერნატორს ლორდ მინტოს.

ავსტრია-უნგრეთი. გალიციაში ებრაელთა საწინააღმდეგო არეულობამ იჩინა თავი. აპრილის 22-ს უცნოვში გადაიწვა 20 სახლი და 60-მდე სხვა-და-სხვა სამშრალი, რომელიც მკვიდრ ებრაელთ ეკუთვნოდა.

ცეცხლის გაჩენისა და სხვა უწესოებათა შესახებ ცნობები შეუკრებიათ: მოქალაქე კრინჩუკთან (მცირე-რუსი) სცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ებრაელი, რომელმაც უნიატობა მიიღო; ებრაელებმა შურისძიებით გადასწვეს ერთი ქრისტეანის შენობა. რადგან ბოროტ-მოქმედი იქვე შეიპყრეს, ქრისტეან მკვიდრთ მიჰყვეს ხელი და ცეცხლი წაუკიდეს ებრაელთა შენობებს, შეუდგნენ მათ ცარცვა-გლეჯასა და ახრებას. არეულობა ძლივს-ძლივობით დააშოშმინა საგანგებოდ გამოწვეულმა ჯარმა.

სამხრეთი-ამერიკა. გაზ. „Vos. Z.“-ი იუწყება, სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკათა შორის დიდი მოლაპარაკებაა გამართული, რომ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე სავაჭრო კავშირით შეეკრან ერთმანეთს, ამ გრძნობამ ევროპაშიაც იჩინა თავი, სადაც ამ აზრს სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკათა კონსულები აღვიძებენ. მაგ., ბრიუსელში დაარსდ „სამხრეთ ამერიკის“ სავაჭრო დარბაზი, რომლის მოქმედებაშიაც მონაწილეობს იღებენ ვენესუელა, ბოლივია, ჩილი, გონდურასი, პარაგვაი და ურუგვაიო.

მაროკკო. მაროკკოს მეამბოხენი დღითი-დღე ძლიერდებიან; ტანჟერიდგან იუწყებიან „Ber. Tag.“-ში,—ბენიართა ტომი ეხლა არცილას უპირებს დაცემასო. თავ-ზარ დაცემულნი მკვიდრნი ქალაქიდგან გარბიან. ლტოლვილნი ჰმოწმობენ, რომ ქალაქს ქაბილები შემოერტყნენ და მეციხოვნე ჯართან შეტაკების დროს ორივ მხარეს დიდძალი ხალხი გასწყდაო. ქალაქი კარგად გამაგრებული, მაგრამ სანოვაგე და სურსათი შემოაკლდაო. ტანჟერის ფაშამ 200 კაცი, 20,000 პატრონა და სურსათ სანოვაგე მიაშველა არცილას მეციხოვნეთაო.

ნარკვევი

ჟურ. „Юристъ“-ში ბ-ნი ტიუტრიუმოვი მწუხარებით აღნიშნავს, რომ სარედაქციო კომისიას, რომელიც სამოქალაქო დებულების შედგენას ადგია, განზრახვა აქვს, ერთი ახალი მუხლი შეიტანოს დებულებაში; ამ მუხლის ძალით, მამას ეძლევა ნება, თუ მან შინაურულად ვერ მოახერხა თავისი მცირე წლოვანი შვილის გასწორება, მიაბაროს იგი თავისი ხარჯით გამასწორებელ თავ-შესაფარში და, თუ ეს შეუძლებელია მისთვის,—სატუსაღო სახლში, სამი თვის ვადით.

რად დასჭირდა სარედაქციო კომისიას დებულებაში ამ მუხლის შეტანა?—ბძანებს ბ-ნი ტიუტრიუმოვი.—მას აქეთ, რაც სასამართლოს წესდებაანია შემოღებული, არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მშობლებს თავისი შვილი გამასწორებელ სახლში დაემწყვდიოსთ. რათ უნდათ ახლა აღადგინონ ეს წარსულის ნაშთი, ძველი უსიცოცხლო წესი? ჩვენ დროში ყველასათვის ცხადია, რომ საპყრობილე ჰრყვნის ადამიანს სულითა და ხორცით, ადამიანის ზნეობასა და ჯან-საღობას ძირს უთხრის და განა შეუძლია საპყრობილეს ბავშვის გასწორება? იგი სამუდამოდ ბიწოტების წაუშლელ დაღს დაასვამს მის სულიერ ვითარებას, სამუდამოდ შეაძულებს და მოაშორებს მას მშობლებს. საპყრობილედან გამოშვებულ ბავშვის გასწორება, მაზე ზნეობრივი გავლენის მოპოვება შეუძლებელი იქნება.

მშობლებმა ვერ გაასწორეს და სატუსაღო გაასწორებს ბავშვსაო. რა მწარე ირონიაა ამ სიტყვებში, მკითხველო. მახლობელნი ვერასოდეს ვერ უშველიან და ტუსაღები შესძენენ ბავშვს კეთილზნეობასაო. ნუ-თუ საღი გონების ადამიანი იტყვის ამას?

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 აპრილი.

პეტერბურგი. პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზაზედ 69 ვერსტზედ, შუადამის დროს, რელსებიდგან გადავარდა ლოკომოტივი № 11 სამი ვაგონით. მემანქანე დაჭრილია; სხვა უბედურება არა მომხდარა.

სოფია. სოლონიკის ალიაქოთის შემდეგ მაკედონიის მდგომარეობა თანდათან უარესდებაშია. მმართველობა აპატიმრებს ყველა ცნობილ პირთ, მღვდლებს და მასწავლებელთ. ბაშიბუზუკები მუშტ-კრივსაც მიჰმართვენ ხოლმე.

—მაკედონიის წრეები ოსმალოს პოლიციას სდებენ ბრალს, ისინი აგულიანებენ ხალხს, რომ საბუთი იპოვონ მაკედონელთა წინააღმდეგ სამოქმედოთაო.

ნიკოლაევი. გაიხსნა ახალი, პატიმართა გამასწორებელი განყოფილება 800 კაცისათვის, საზოგადოთ პატიმართა გამასწორებელ სახლთა ტიპისა; შიგ მოთავსებულია ვრცელი სახელოსნო და მრავალი ოთახები.

ნოვოროსიისკი. იმ ბოროტ-მოქმედთაგან, რომელნიც დაეცნენ თავს სოჭის ახლო გრაფ შერემეტევის მოურავს, მორკაიტისს, ორი დაუჭერიათ.

ლოძი. სპარსეთის ბანკის წარმომადგენელს, რომელიც 24 აპრილს მოვიდა, მოლაპარაკება ჰქონდა ადგილობრივ ვაჭრობათა წარმომადგენლებთან, ვაჭრობათა დამოკიდებულების გაძლიერების შესახებ სპარსეთში. გამოაცხადა, რომ ბანკი ძალიან დაეხმარებათ ამაშიო. ის ჰფიქრობს, ზემო დასახელებულ ბანკის განყოფილება გახსნას აქ, რომელიც დიდის თანაგრძნობით იქმნა დამსწრეთაგან მიღებული.

ვორონეჟი. საბჭომ გადასწყვიტა საქალაქო სასწავლებელში გახსნას პარალელური განყოფილებანი და იშუამდგომლოს, რომ ნება მიეცეთ მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნისა.

სალონიკი. კიდევ აპატიმრებენ ხალხს. მცხოვრებლებს ძალიან ეშინიათ ახალი ალიაქოთისა. შუაგულ პროვინციებიდგან უსიამოვნო ამბები მოდის მონასტერთან შეტაკების შესახებ. სოფ. ბანიცა გადასწვა ოსმალოს ჯარმა, კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ.

ათინა. ოფიციალური ტელეგრამა ამტკიცებს, რომ მონასტერთან და მის მიდამოებთან მომხდარი ძლიერი არეულობა მართალია. მთელ საბერძნეთის მცხოვრებნი, რომელნიც მაკედონელთა ჩამომავალნი არიან, სასტიკად ადევნებენ თვალ-ყურს. რამდენიმე დაპატიმრებულია.

პარიჟი. ტულონში ბრძანება მიიღეს რომ სალონიკში გაიგზავნოს გემების ატრიადი.

სტამბოლი. ზოგიერთმა საელჩომ შემოიღო საკუთარი სადარაჯო, რომელსაც აყენებენ საელჩოს სადგურის შიგნით ოთახებში და რომელიც მატროსებისაგან შესდგება. რუსეთის საელჩო დიდი ხანია ინახავს ასეთს სადარაჯო ატრიადს მატროსებისას სახლის შინა ოთახების ყურის საგდებლათ.

სალონიკი. მოვიდნენ იტალიის გემები „სარდინია“, „მოროზინი“, „კარლო-ალბერტო“ და „კალატაფიმი“. სალონიკში სრული მშვიდობიანობაა. ხმა დადის, რომ სულთანს პირადად მიუმართავს მთავარ ფერდინანდისთვის თხოვნით, რომ უფრო სერიოზული ზომები მიიღოთ მაკედონიის კომიტეტების წინააღმდეგაო. პორტას განზრახვა აქვს შეატყობინოს დიდს სახელმწიფოებს ან და საქვეყნოთ გამოაცხადოს ყველა ცნობა, რომელიცკი აღმოჩნდება გამოძიების დროს, სალონიკის არეულობის შესახებ და რომელიც გაამტყუნებს ბოლგარიასაო. თუმცა ბოლგარიამ გამოაცხადა, რომ თუ პორტა არ უარ-ჰყოფს თავის უკანასკნელ ნოტის მინაარს, რომელიც ულტიმატუმსა ჰგავს და იმის მაგიერ სხვა ნოტას ჩვეულებრივის კილოთი დაწერილს, არ გამოგზავნის, მაშინ ბოლგარიაც მკაცრის კილოთი გასცემ პასუხსო,—მაგრამ ასეთის გამოცხადების გამო ოსმალეთის ნოტა მაინც შეუცვლელი დარჩება. მოსალოდნელია, რომ საურთიერთო უსიამოვნება გამწვავდება. საქმის მცოდნეთა შორის მაინც არას სჯერათ, რომ მტრობამ აშკარად თავი იჩინოს. საომარი სამზადისი არა სცხრება და ფართოდ სწარმოებს.

ბელგრადი. ოსმალეთმა სალონიკის ამბების გამო მკაცრი ნოტა გაუგზავნა ბოლგარიის მთავრობას. სოფიიდანაც სასტიკი პასუხი იქმნა გაგზავნილი.

სტამბოლი. ოსმალეთი უარ-ჰყოფს, ტყუილად გვწამებენ, რომ ომიანობის სურვილი გვქონდესო.—სანიტართა საბჭომ გადასწყვიტა გაასინჯოს ხოლმე პორტ-საიდიდან მოსული საქონელი.

პარიჟი. „Figaro“ აღნიშნავს მინისტრის დელკასეს საყურადღებო განმარტებას, რომელიც გამოუთქვამს ინგლისის მეფის პარიჟში ყოფნის მნიშვნელობისა და ხასიათის შესახებ. „მეფე ედუარდის მოგზაურობამ საფრანგეთში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ევროპას სამართლიანად შიაჩნია პოლიტიკა საფრანგეთისა. ამ ცხადს, გულ-ახდილ პოლიტიკას საფუძვლად უდევს შეურყეველი კავშირი რუსეთიდან და ეგ კავშირია ქვა-კუთხედი ყოვლის ჩვენ-მიერ მიღებულის საგარეო ღონის ძიებისა. ძლიერნი ვართ ამ კავშირის წყალობით. იგი ჩვენთვის საკმაოა; მაინც უფრო მოწადინებულნი ვართ, ვიდრე ვყოფილვართ ოდესმე, მოვარველობა გავუწიოთ ევროპაში ყოველ პირ-ჩენილს დასახლოვებას ინტერესებისა და გრძნობებისას. ჩვენა ვართ ელემენტი ქონებრივ ზნეობრივის თანასწორობისა და გვსურს ასეთ ელემენტადვე დავრჩეთ. დაე, ჩვენი ეროვნული ძალ-ღონე ემსახუროს ამ იდეებს“.

ჩარჯი. იმიერ-კასპიის გზაზედ, ასხაბადსა და მერვს შუა, შესწყდა მიმოსვლა მატარებლებისა ტეჯენისა და მურღაბის მდინარების ადიდების გამო. ტეჯენის სადგური წყალმა წაიღო. გზა ტეჯენსა და თაქარს შორის წამხდარია. მიმოსვლა 8—10 დღის შემდეგ დაიწყება.

სტამბოლი. როგორც პორტას ამბავი მოუვიდა, ბოლგარებს რამდენჯერმე თოფი გაუსროლიათ ქალაქ მონასტირის მუსულმანთა უბანში. შეიქმნა შიში და ძრწოლა; ბაზარში დუქნები დაიკეტა. ვალიმ საჭირო ღონისძიებანი მიიღო ქალაქის დასაცველად. რიცხვ-მრავალნი დამრღვევნი წესიერებისა შეპყრობილ იქმნენ. წესიერება და მშვიდობიანობა აღდგენილ იქმნა.—ოფიციალურ ცნობებით, სალონიკში დახოცილ ბოლგართა რიცხვი 35 კაციაო, მათ შორის ზოგიერთმა თავი მოიწამლა.

ტულონი. გემებმა „პოტიუო“-მ, „დატუმტრებილ“-მა და „გალილე“-მ ბრძანება მიიღეს, გაემართოთ სალონიკსაო.

26 აპრილი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: „23 აპრილს მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მეუღლემ, მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავრინამ ელისაბედ მავრიკის ასულმა მოიმშობიარა და ეყოლა ძე, გიორგიდ სახელ-წოდებული; ვუბრძანნებთ უმართებელეს სენატს მოახდინოს განკარგულება, რომ ახლად-დაბადებული მთავარი იმპერატორის გვარისა, მისდა მითვისებულ ხარისხისამებრ, ვითა იმპერატორის შვილიშვილი-შვილისადმი, ყოველგან, რაც წესია, იწოდებოდეს უმაღლესობად“. ნამდვილზედ მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია „ნიკოლოოზ“.

გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი ლეიბ-ქირუგის გირშის სახელობაზედ მისის სამსახურის 50 წლის შესრულების გამო.

სტამბოლი. უკანასკნელად მოსულის ამბებიდანა სჩანს, მოსალოდნელი არ არის, რომ ალბანელებმა წინააღმდეგობა გასწიონ დიაკოვოში და იპეკაში. საიდუმლო ამბებიდან სჩანს, ალბანელთა უარჰყვეს წინააღმდეგობა იმიტომ, რომ ჯარების ჩაყენება იმათ ოლქებში, როგორც ოსმალები ირწმუნებიან, მოხდა მეზობელ სახელმწიფოების საომარ განძრახვათა გამოვო.

სტამბოლი. საფრანგეთის გაზეთებისაგან გავრცელებული ხმა, ვითომ გერმანიის რწმუნებულმა მოითხოვა ზარალის გადახდა და გერმანიის სკოლის გახსნა სალონიკაში, არ არის მართალი.—პრიზრენში დატუსაღებულნი 20 ალბანელნი ჰაჯიები მოსულში გაგზავნეს. ოსმალთა ჯარები შევიდნენ დიაკოვოში, ხალხმა პატივისცემით მიიღო. იპეკიც აგრეთვე უწინააღმდეგოდ დაიჭირეს.

სტანაოლი. პოლიციის მიერ ძიება კომიტეტების წევრთა და საეჭვო კაცების მონაწილეთა კვლავ კიდევ სწარმოებს ჯარის დახმარებით. წესიერება არ ირღვევა. ვაჭრობა და მიმოსვლა კვლავ დაიწყო. ცნობა უცხეთია რაზმების შემოსვლის შესახებ სიმართლეს მოკლებულია. ნაბძანებია საომარ ფეხზედ დადგეს ექვსი ბატალიონი მცირე აზიის სადარიგო ჯარის ბრიგადისა ბიტოლიასა და მის მიდამოებში დაპატიმრებულია ასი ბოლგარელი.

სტამბოლი. პორტის ცნობებით მოკლულია გენერალი ცონჩევი-კი არა, არამედ მეამბოხეთა ბელადი დელჩევი. ის ცნობა, ვითომც პორტას უკანასკნელი ნოტა, რომელიც შეიცავს საჩივარს ბოლგარეთის შესახებ და რომლისასაც ისენი ამბობენ, ბოლგარეთის მთავრობამ არ მიიღოვო, ზოგნი-კი ვითომც უკანვე დაუბრუნაო, საფუძველს მოკლებულია. ლონევმა სთხოვა ოსმალეთის კომისარს, ნოტა უკანვე წაიღეთო, რადგან შიგ რამდენიმე უსაფუძვლო ბრალდებაა ბოლგარიის შესახებო. კომისარმა შუამდგომლობა შეიწყნარა, აქური დიპლომატები ამ შემთხვევას არაფერ ყურადღებას არ აქცევენ.

სტამბოლი. გუშინ მონასტირში მომხდარ არეულობის შესახებ კონსულებისაგან შემდეგი ცნობებია მიღებული: ორიზარის და კოპორცის სოფლებთან მოხდა ბრძოლა ჯუფთებთან. გავრცელდა ხმა, რომ მეამბოხენი ქალაქს შემოვლენო. ამავე დროს მთავარ მეჩითან და პატარა მეჩითან გადმოუსროლებიათ დინამიტის ყუმბარები, რომელთაც არ უფეთქნიათ, ბოროტ-გამხრახველი შეიპყრეს. ბაზარი და მაღაზიები დაკეტილია. მცხოვრებნი სახლებში ჩაიკეტნენ. ვალიმ მიიღო სიფთხილის განსაკუთრებული ღონისძიებანი.

პეტერბურგის ბირჟა, 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,67^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5—6^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$98^3/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$100^3/_4$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^3/_8$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$435^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$334^1/_2$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$297^1/_2$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	91 მყიდ.
$4^1/_2\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	199 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

ისყიდება მამული

გორის უეზდში ს. ნიაბაში ვენახი 3 დესეტ. და სახნავი მიწა 2 დესეტ. და სოფ. ჩოჩეთში 3 დესეტ. მიწა. ვსთხოვთ წერილებით მიმართონ შემდეგის ადრესით: Петербургъ, Инженерная академія В. Пересвѣтъ-Солтанъ.

(3—95—3)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერა-ტორ. უდი-დებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირი-სახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძი...ბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, აპაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საათფ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საათფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—16)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

(„Фирузе“)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი